## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №121

(გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრის დაცვით)

ქ. მარნეული „09“ „ივნისი“ 2022 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი **მერის კენან ომაროვის** სახით, და, **ი.მ. „ნაილა მეხტიევა“,** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

1.1. <u>მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელის 06.05.2022 წლის N-07-322212677 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, მერიისთვის ელექტრო და სამეურნეო საქონლის შესყიდვა CPV – 184 24000 – ხელთათმანები; CPV – 312 24810 – დამაგრძელებელი კაბელები; CPV – 315 31000 – გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები; CPV – 444 11000 – სანტექნიკური მოწყობილობები ; CPV – 444 11100 – ონკანები; CPV – 444 20000 – მშენებლობაში გამოყენებული საქონელი; CPV – 445 21110 – კარის საკეტები).</u>

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **921,60 (ცხრაას ოცდაერთი ლარი და სამოცი თეთრი) ლარს.**

2.2. მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ღირებულება შეადგენს: <u>1) CPV – 184 00000 – 21,60 ლარი; 2) CPV – 312 00000 – 177.00 ლარი; 3) CPV – 315 00000 – 291.00 ლარი; 4) CPV – 444 00000 – 330.00 ლარი; 5) CPV – 445 11000 – 102.00 ლარი;</u> თანახმად ინვოისისა.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.4. დაფინანსების წყარო – **2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.**

### 3. მხარეთა ვალდებულებები:

3.1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

3.1.1. უზრუნველყოს საქონლის **მიწოდება ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან, მიმდინარე წლის 15 ივნისის ჩათვლით,** შემდეგ მისამართზე: **ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა N–73.**

3.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

3.1.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

*3.2. შემსყიდველი ვალდებულია:*

*3.2.1. უზრუნველყოს ინსპექტირების/კონტროლის განხორციელება;*

*3.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.*

*4. გარანტია*

*4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული, არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა ან/და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.*

*5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება*

*5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ტექნიკური კონტროლი/ინსპექტირება ან/და გამოსცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.*

*5.2. ინსპექტირებას განახორციელებს **მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ელდანიზ ვალიევი.***

*5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, **წუნდებული საქონლის შეცვლა 1 (ერთი) დღის განმავლობაში.***

*6. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი*

*6.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება–ჩაბარების აქტის სახით. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი პირის/პირების ხელმოწერით. ხელშეკრულების პირობების (ვადების, რაოდენობის, ხარისხის) და კონტროლის განმახორციელებლი პირის/პირების დადებითი დასკვნის შესაბამისად.*

*6.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილ პირს/პირებს წარმოადგენს **მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების <u>ხელმძღვანელი ან/და მოვალეობის შემსრულებელი.</u>***

*7. ანგარიშსწორება*

*7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში;*

*7.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.*

*7.3. ანგარიშსწორების ვადა – **მიღება–ჩაბარების აქტის (საქონლის მიღებიდან) 10 სამუშაო დღის განმავლობაში.***

*8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება*

*8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.*

*8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების ან/და სხვა გამომწვევი მიზეზის თაობაზე, ეს*

*გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე–11 მუხლის შესაბამისად.*

**9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

**9.1.** *წინამდებარე ხელშეკრულების* ***4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის*** *გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე* ***ხელშეკრულების ღირებულების 0.02%–ის ოდენობით.***

**9.2.** *იმ შემთხვევაში, თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენს* ***3 (სამი) დღეს****, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო* ***ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%–ის ოდენობით.***

**9.3.** *პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.*

**10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

**10.1.** *ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.*

**10.2.** *თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისიწწნელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.*

**10.3.** *დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა* ***საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით*** *გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.*

**10.4.** *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის* ***398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების*** *დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია* ***ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.***

**10.5.** *ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.*

**11. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

**11.1.** *ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.*

**11.2.** *თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.*

**12. ხელშეკრულების შეწყვეტა**

**12.1.** *თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.*

**12.2.** *ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.*

**12.3.** *ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.*

**13. ფორს–მაჟორი**

**13.1.** *წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული მდგომარეობით.*

13.2. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს–მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

14. **ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა**

წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი, ხელმოწერით ადასტურებს, რომ **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად,** მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ გამარტივებული შესყიდვის მეთოდით შერჩეულ პრეტენდენტთან **<u>ი.მ. „ნაილა მეხტიევა“ – თან</u>** სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

15. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 29 ივლისის ჩათვლით.**

16. **მხარეთა რეკვიზიტები**

**შემსყიდველი:**

**მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 234 232 149**
**მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N-73**
**ელ:ფოსტა: municipalitymarneuli@yahoo.com**

**მიმწოდებელი:**

**ი.მ. „ნაილა მეხტიევა“**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 28001027993**
**მისამართი: ქ. მარნეული, აღმაშენებლის ქ. N-8, ბაზრის მიმდებარე ტერიტორია**
**ტელეფონი: 558 500 910; 599 585 538**
**ელ.ფოსტა: altun1@mail.ru**

**საბანკო რეკვიზიტები:**
**მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა**
**ბანკი / ბანკის კოდი: TRESGE22**
**ანგ. N.ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022**

**საბანკო რეკვიზიტები:**
**მომსახურე ბანკი: სს ლიბერთი ბანკი**
**ბანკი / ბანკის კოდი: LBRTGE22**
**ანგ. N.ა GE 16 LB 0111 1230 6489 0000**

**მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი:**

_____ კ. ომაროვი

**ინდივიდუალური მეწარმე:**

Nalia Mekhtieva
Подписано цифровой подписью: Nalia Mekhtieva
Дата: 2022.06.09 12:17:27 +04'00'

_____ ნ. მეხტიევა

**მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული/კვალიფიციური ხელმოწერები**

MARNEULI MUNICIPALITY
Digitally signed by MARNEULI MUNICIPALITY
Date: 2022.06.09 12:51:56 +04'00'